ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 93 მაისი 4, ხუთშაბათი 1889 მაისი 4, ხუთშაბათი № 93

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა, ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

კვირას, 7 მაისს

მუშტაიდის ბაღში დანიშნულია

## სეირნობა

და

## ლატარია-ალლეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზედ. ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კაპ. ღირება.

დაწვრილებით აფიშებშია გამოცხადებული

---

ტფილისი, 3 მაისი

დღეს, მაისის სამს, საღამოზე ტფილისში მოელიან მისს უდიდებულესობას ნასრ-ედდინს, შაჰს სპარსეთისას, და ამიტომ ქალაქში დიდი მზადებაა. ნასრ-ედდინი წინადაც სწვევია სტუმრად რუსეთის იმპერატორს და ამ სტუმრობითა და მოგზაურობით განუმტკიცებია კავშირი რუსეთსა და სპარსეთს შუა. ძალიან იშვიათი საქმეა, რომ რომელიმე აღმოსავლეთის მფლობელი უცხო ქვეყანას წავიდეს სამგზავროდ და ამ საშუალებით დაუახლოვდეს უცხო ერთა და ხელმწიფეთა. ამიტომ შაჰ ნასრ-ედდინი განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია. იმის წინად არც ერთი შაჰი სპარსეთისა თავის სამფლობელოს საზღვარს არ გასცილებია და უცხო ქვეყნების დაახლოებასაც ყველა ერიდებოდა. რამ დაარღვევინა ნასრ-ედდინს ძველის-ძველი ჩვეულება და რამ აიძულა ევროპასთან დაახლოება? სპარსეთი მეტად შესანიშნავი ქვეყანაა თავისის წარსულით, თავისის სიმდიდრითა და ერის ნიჭიერებით. ოდესმე სპარსეთს ხელთ ეპყრა მთელის აღმოსავლეთის ბედი და განათლებითაცა და ხელოვნებითაც ბევრად წინ იდგა სხვა ქვეყნებზე, მაგრამ დროთა ვითარების გამო სპარსეთი ევროპას ჩამორჩა და კარი შეიკეტა. მას აქეთ სპარსეთში მწერლობაცა და მეცნიერებაც დაეცა და ვაჭრობაცა და მრეწველობაც შემცირდა. მხოლოდ ამ საუკუნეში იწყება სპარსეთის აღორძინება. ნასრ-ედდინის მამამ პირველმა გაჰმართა ურთიერთობა უცხო ქვეყნებთან და ამ ნაირად სცდილობდა სპარსეთი წინ წაეწია. ამ საგნისათვის კიდევ მეტი სამსახური მიუძღვის ნასრ-ედდინს, რომელიც ყოველს ღონეს ჰხმარობს თავისი ერი გაანათლოს, დააწინაუროს და სამერმისოდ მაინც დაუმკვიდროს სპარსეთს დიდება და სახელი.

შაჰის მოგზაურობა ევროპაში უბრალო სეირნობა და დროს გატარება-კი არ არის, არამედ შაჰს აზრად აქვს სხვისს ყოფაცხოვრებას ჩაუკვირდეს, შეიტყოს, თუ რა არის მიზეზი ევროპის წარმატებისა, რომ სპარსეთს გაუსწრო წინ სვლა. შაჰს კარგად ესმის, რომ ერის წარსამატებლად საჭიროა განათლება, ძლიერი ვაჭრობა და მრეწველობა. ამიტომ იგი სცდილობს სპარსეთში სწავლა-განათლება და ხელოვნება დანერგოს, რკინისა და სხვა გზები გაიყვანოს. ნასრ-ედდინი მწერლობასაც სწყალობს და კარგის თვალით უყურებს. ნასრ-ედდინი თვალყურს ადევნებს ყოველსავე ცვლილებას, რაც ევროპაში მოხდება და, თუ მოსახერხებელია, სპარსეთშიაც იგივე ცვლილება შეაქვს.

აქედგან ცხადია, რომ შაჰის მოღვაწეობა რთული და მრავალ ნაირია. ისიც აშკარაა, რომ ნასრ-ედდინს დიდი ცდა და შრომა ჰმართებს, რომ თავისი წადილი შეასრულოს, და ყოველივე ესე იმის მიზეზია, რომ მთელი ევროპა პატივსა სცემს ნასრ-ედდინს და იმის მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებს.

ა. ს—ი

---

## ახალი ამბავი

*** გუშინ ჩვენი ქალაქი დილიდგანვე ძნელად საცნობელი იყო. ყველა სახელმწიფო და კერძო სახლები გამშვენიერებული იყო რუსეთის სამფეროვანის დროშებით. ჩვენი ქალაქი, როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, ემზადებოდა, რომ საღამოზედ დახვედროდა უდიდებულესს სტუმარს, მბრძანებელს ირანისას, სპარსეთის შაჰს ნასრ-ედინს. გზა, რომელიც მის უდიდებულესობას უნდა გამოევლო, გალამაზებული იყო ბოძებით, მწვანისა და ყვავილების გრეხილებით და რუსეთის სამ ფეროვან დროშებით. საღამოს ოთხ საათიდანვე მიხეილის ქუჩის ორივ მხრივ, თ. ვარანცოვის ძეგლიდგან დაწყებული ელისაბედის ქუჩამდე, გამწკრივებული იყო ჯარი სამხედრო მუსიკითურთ. რკინის გზის სადგურთან იდგა ჰამქარი და დიდძალი მაყურებელი, რომელნიც ირანის მბრძანებლის მოსვლას ელოდნენ.

რკინის გზის სადგური მშვენივრად იყო მორთული დროშებითა და მწვანისა და ყვავილის გრეხილით, ბაქანზედ იდგა საპატიო ყარაული, რომელიც კავკასიის 1-ლ მსროლელ ბატალიონის ჯარის-კაცთან შესდგებოდა. ცოტა მოშორებით, საპატიო ყარაულის რიგზედ, გაშლილი იყო წითელი მაუდი და სამეფო ოთახი ხალებით იყო მოფენილი. ამ ოთახში იყვნენ თავ მოყრილნი ქალაქის გამგეობის წევრნი ქალაქის თავის ბ-ნ მატინოვის მეთაურობით, გენერლობა და სხვა საადმინისტრაციო მოხელენი, სპარსეთის საელჩოს ყველა წევრნი, რამდენიმე ქართველი თავადიშვილი და სხ.

სწორედ 4 საათი და 45 წუთი იყო, რომ რკინის გზის სადგურზედ მოვიდა მთავარ-მართებელი თ. დონდუკოვ კორსაკოვი. ხუთს საათს ხუთი წუთი აკლდა, რომ გამოჩნდა ბაქნიდგან სამეფო მატარებელი თერთმეტის ვაგონით. პირველი ორთქლმავალი მორთული იყო სამ-ფეროვანის დროშებით. სწორედ ხუთს საათზედ მის უდიდებულესობამ ინება და გამობძანდა სამეფო მატარებლიდგან. აქ პირველად სალამი მოახსენა მის იმპერატორებით უდიდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სახელით გენერალ-ადიუტანტმა პოპოვმა, პეტერბურგიდგან მოსულმა. შემდეგ სალამი მოახსენეს თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა, ტფილისის კომენდანტმა ერნესტმა და სხვათა.

მისმა უდიდებულესობამ შემდეგ ინახულა საპატიო ყარაული და შევიდა სამეფო ოთახში, სადაც თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა წარუდგინა მის უდიდებულესობას ქალაქის თავი ბ-ნი მატინოვი, რომელმაც შაჰს პურმარილი მიართვა. ჩაბრძანდა თუ არა მისი უდიდებულესობა ეტლში მთავარ-მართებელთ. დონდუკოვ-კორსაკოვითურთ, არსენალიდგან დაიწყეს ზარბაზნების სროლა. ხალხი ირანის მბრძანებელს დიდის „ურას“ ძახილით მიეგება. შაჰის ეტლს წინ უძღოდნენ ცხენოსანი ჟანდრები და უკან მოჰყვებოდნენ ყაზახები მიხეილის ქუჩაზედ მუსიკა დიდებულს სტუმარს სპარსეთის ჰიმნის დაკვრით მიეგება. სასახლესთანაც ინახულა მისმა უდიდებულესობამ საპატიო ყარაული და შემდეგ სასახლეში შებრძანდა. საღამოზედ მთელი ქალაქი მშვენივრად იყო გაჩირაღდნებული ფერადის ფარნებით; სასახლის პირდაპირ აანთეს ტრანსპარანტი, რომელზედაც გამოხატული იყო სპარსეთის სახელმწიფო გერბი — მზე და ლომი.

*** წრეულს კავკასიის საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოებამ დაჰბეჭდა და გამოსცა დოქტორის ბაბაევის მიერ მდაბიოდ დაწერილი წერილი „ჰლექის (ზღმურდლურას) გადამდებლობა და საშუალებანი ამ სენის წინააღმდეგ“ სამს ენაზედ — ქართულსა, რუსულსა და სომხურზედ. ეს პირველი მაგალითია, რომ საზოგადოებამ

---

# ფელეტონი

## სცენები

ფშავლების ცხოვრებიდამ *).

### სცენა II

ვაჰმე, ცხვირო!

შალვა. მაშ არ იცია, დედავ, სად წავიდა ის რძე-ძაღლი?

ხოშია (დედა შალვასი). არ ვიცი, დედაშვილობამ, სად იქნების წასული. დაწოლითაც შინ დაწვა, ერთად დავწევით, მემრე თუ სამე წავიდა, კი არ ვიცი. ბიჰო! დაკარგულ არაი გვყვანდა, რო იმის საძებნელად წასულიყოდ, მერავ აბა.

შალვა. ჰო, უთუოდ, ვინც მითხრა, იმას არ უტყუვნავ. უყურე შენ მაგ ძაღლის რძით გაზდილსა. უყუროს კაცმა მაგ ჩემს დამნამუსებელს. წუხელ შუაღამისას მოსული კაცი მეულლი, ეს არი ხო გათენდა და აპა თუ სად გამოჩნდეს! ვისთან არი? რასთან არი? სად დავა შავ-შუაღამეთა, თუ-კი ძაღლობა არ უძე გულში. დაიცა, დიაცო, დაიცა! შენი ჩიქილა დამხურე, თუ შენი ჯავრი შავჭამო (სდგას დერეფანში, იფურთხება და ილანძღება; ხევ გაღმა კაცს დაინახავს და წადგება წინ) მანდ რომენი-ღა დახვალ, რასა ჰლონობ, ბიჰო?!

იორამი. შალვავ, შენა!?. როდის მოხველ, ხო არა გიჭირდათ, რა რიგი დროება არი საქონისადა, კაცისადა?

შალვა. კარგა ვიყვენით, ღმერთმა კარგი მოგცას, არცა-რა კაცს გაგვჭირებია, ღვთითა, არც არა საქონსა. მემრე თავად როგორა ხართ, ბიჰო?! რას დახვალ, რას ეძებე.

იორამი. ვართ ისრე, როგორც იცოდე ჩვენის მთა-ბარის ამბავი. დღესნამდე-კი არცა-რა ჩვენ წაგვხდომია, წუხელის მგელს ხაფანგი დაუგე აი ზეით, მგელთ-ველის იქითას პირში, შუა ბილიკზე, გამბულა ის ოხერი და წაუღიავ, მაგრამ იმედი მაქვს შორს-კი ვერ წაიღებდა, ჩანგლიანი ხაფანგია. ახლა აი ზენ უნდა ავიარო, იქაც გავსინჯავ. ხეზე სამ გასდებდა ი ჩანგალსა. თოვლი რო იყოს, კვალს გაიგებდა კაცი (მიდის ზევით და მიეფარება ტყეს).

შალვა. რაკი ჩანგალი ჰქონდა, ხაფანგს ველარით სად წაგიდი. (ყურს უგდებს. ბორცვისავით ჯაჭვის ჩხარაჩხური ესმის სევიდამ. მიდის იქითკენ, ჰხედავს თავის ცოლს, ქალთათავს, ხაფანგში გაბმულს; ქალი ხაფანგსაწვალებს, უნდა ფეხიდამ მოიშოროს). რას აკეთებ აქა, შე იუდის კერძო, შე ღვთისაგან წყეულო, შენა?! სად დახვალ, როგორ დახვალ? (დაადგება თავზე).

ქალთათავი. სად დავალ რაღასა ჰქვიან?! საქმეზე დავალ, ვერა ჰხედავსა ე შენი თვალები?!. (ეჯაჯგურება ხაფანგის კამალებს) მიწამც ჩამაჭმლის შენის პატრონის ხელებს, აგრიააა! ოხრადამც დაჰრჩები შენს პატრონს, შე ბაითალმანო!

შალვა. მიწამ, მაგის პატრონის ხელები-კი არა, შენი ხელები და თავი უნდა ჩამოშალოს, მადლი ის არი, შე უნამუსოვ, შენა!

ქალთათავი. რადა ვარ უნამუსო, თავის საქმის გულისად რო კაცი დავიდოდეს, იმით უნამუსო თუ იქნება? ხბუების საძებნელად ვიყავ, უნამუსობა რაღასა ჰქვიან, შენ რაღას ამბობ ნეტა რა?

შალვა. მე სუყველა ვიცი კარგა, ეშმაკის ჯიშისავ, ვიცი. ველარ მამატყუებ, ველარა. (მიუახლოვდება ათრთოლებულის ტანით და აკანკალებულის ხელებით). რო მეუბნებოდი: „ემ წინდათ ემა ქიზიყელას მივცემ დამწვარს, აქ წინდებს ვინ დაუქსოვსო. მადლია, გადმოკარგულ კაციაო. მაგაად თუ გებრალებოდა? მაგაად გინდოდა? მაგაად გებრალებოდა, შე ძაღლის ძუძუთ გაზრდილო, შე გველის წიწილავ?! (უჭირებს ყელში; პირაზეს ვერ იგლავს და იღებს სანჯალს) სუ თათრების ძვალზე არა გცადო, ოხერო, ერთხელ დედაკაცის ცხვირის გემოცა ნახე! (უსობს და ათლის ნახევარს ცხვირს. სისხლი ჩამოსდის ქალთათავს. შალვა თავს ანებებს და უკან გადგება ცოტად). გეყოფაა? არ გეყოფაა, გამდელ-ძაღლო?! (მიდის შინათკე) წადი ეხლა გოგიასთანა!

ქალთათავი. ოჰ, ოჰ, ოჰ! ვაჰმე, მოვკვდი, დედას ჩემო! აღარავინა ხართ ქრისტიანი, აღარას მიშველთა?! ვაჰმე, ჩემო ცხვირო!.. ვაჰმე, მამკლა, ამ შავის სიკვდილის დაბუნდუებულმა (მოსთქვამს და ქვითინებს), მაგ ურჯულოდ ასაკაფავმა. შენამც გიტირებს დედა შენი ადრე-დ მალე, ურჯულო ლეკების აკაფულსა. სად წაუხვალ, სად დაემალები ჩემს ძმათა, შე ძაღლო?!

### სცენა III

ხარსაცა და ფურსაც!

ივანე. (ზარხოშად) გენაცვალე, ჩემო მამუკავ, რო მამიხვედ: ერთმანეთის დახედვა-მიხედვის მეტი არა გაგვყვება, ღმერთის მადმა. მე ხო მარტუას პურ არ მიამება, შენი ჭირიმე. მარტუა კაცი სუყველად ბეჩავია. ეს არაყანი ძოლანისავ ამოიტანე შინაითა, მაგრამ მარტუამ ვერ დავლიე, არცავინ სტუმარ მამსვლია. (ქვიფიანად)

მამუკა. მეც რო თავად ეგეთაი ვარ. ზოგ კაცი, ჩემს ძმას გიამბო, მარტუა გაძლება. მარტუა კაც როგორ უნდა დაითვრეს, ვაი დედას მტრისას!

ივანე. (ისხამს არაყს ყანწში და ილოცება) ღმერთმა შაიწყალნეს შენნი ბებო-პაპანი, ძმაო მამუკავ, იალად ქნას იმათი სული; ჩემნი ბებოპაპანიც. კიდევ იმათი დრო-კი სჯობდა!

მამუკა. ღმერთმა გაგიგონოს, შენ ხსნილობა მოგცას.

ივანე. (უსხამს არაყს და აწვდის მამუკას) აბა, დამიტირე, გამამართვი ე ყანწი.

მამუკა. გვეყო ე, დავითვრები, მამიდაისავ! აგერაი გოგიას აკლავ.

ივანე. დაითვრები კი არა, გადაითვრები. მაშ როგორ უნდა გავათენოთ ე ღამე, დაიჰი ჩამამართვი, ვაქო! (აძლევს ყანწს) გოგიასაც დავალევინებ, განა-კი დამავიწყდა. ხვალ

---

*) იხ. „ივერია“ № 92.

განახორციელა თავისი დიდის ხნის სურვილი და დაჰბეჭდა სახალხოდ დაწერილი სამედიცინო წიგნაკი. ამ საზოგადოებამ ჯერ კიდევ 1879 წ. 8 ივნისს ამოირჩია კომისია მდაბიოდ დაწერილ წიგნაკების ბეჭდვის საქმის გამოსარკვევად. ამ კომისიაში წევრებად იყვნენ: ა. ნ. ბაბაევი, ი. ა. გორალევიჩი, დ. ხ. ლისიცევი, ი. ი. მალინინი, მ. ი. რეიხი და ნ. ნ. უშაკოვი და თავმჯდომარეობდა ს. ო ანანოვი.

ამ კრებამ მთელი პროექტი შეიმუშავა და იმ აზრისა იყო, რომ ქართულსა და სომხურს ენაზედ წიგნების გამოსაცემად შვიდი კაცი ამოვირჩიოთ, იმათ მივანდოთ გამოსაცემ წიგნების რედაქცია მთელის წლის განმავლობაში და იმათვე იპოვნონ ღონისძიება და საშუალება ამ წიგნების გამოცემისათვისაო. ხოლო რადგან რედაქტორებმა ქართულის სასოფლო გაზეთისამ ბ-ნმა პ. უმიკაშვილმა და ერთმაც თათრულის გაზეთისამ განაცხადეს, რომ ჩვენ ვბეჭდავთ სახალხოდ გამოცემულს სამედიცინო წიგნაკებსაო და ამასთან რაკი ამისთანასავე შემწეობას მოელოდნენ მაშინ ახლად დაარსებულ სომეხთა წიგნების ბეჭდვისა და გამოცემის საზოგადოებისაგან, სამედიცინო საზოგადოება იმის ზრუნვას შეუდგა, რომ რუსულად შეექმნათ საუკეთესო სამედიცინო წიგნაკები, რათა იმათი გადათარგმნა შეიძლონო.

ამ მოხსენების წაკითხვის დროს ნ. ა. ხუდადოვმა ის აზრი გამოსთქვა, რომ მოხერხებულად არ მიმაჩნია გაზეთებში ბეჭდვა სამედიცინო წიგნაკებისა, რადგან, ჯერ ერთი, ძალიან გაჭიანურდება და მეორეც არც ფასია ისეთი მცირე, რომ ხალხმა ადვილად შეიძინოსო.

ამიტომ რედაქტორთა შემწეობა უარ-ჰყო საზოგადოებამ და დაადგინა, მეორე კრებაზედ ამოირჩიოს კომისია, რომელსაც უნდა მიენდოს ღონისძიების მოპოვება სამედიცინო წიგნაკთა გამოსაცემად, რუსულს გარდა, ქართულსა და სომხურს ენაზედაც.

მას შემდეგ ეს საქმე ჰლონლიალობს და აგერ ცხრა წელიწადი გადის, საზოგადოებას არაფერი გამოუცია. წრეულს გამოსცა დოქტორის ბ-ნ ბაბაევის მიერ დაწერილი წიგნაკი და შედარებით არც დიდი ფასი აქვს ამ წიგნაკს—ერთი აბაზი. ამ წიგნაკების შემოსავალი საზოგადოებამ კიდევ სხვა წიგნაკის გადათარგმნასა და გამოცემას უნდა მოახმაროს. საზოგადოება იმითი ჰმართლულობს თავსა, რომ აქამდე ღონისძიება და შეძლება არ ჰქონდა საზოგადოებას სახალხო საკითხავ სამედიცინო წიგნაკების გამოსაცემადაო. ჩვენ ერთი რამ გვაკვირვებს: წრეულს ბ-ნ ბაბაევის წიგნაკის გადასათარგმნავად საზოგადოებამ მარტო ამ წიგნაკის თარგმნისათვის ექვს-შვიდ თუმნამდე ფული გაიღო. განა არ შეიძლებოდა, რომ თითონ კავკასიის სამედიცინო საზოგადოებაში წევრად მყოფ ქართველსა და სომეხ ექიმებს ეკისრნათ ეს შრომა უსასყიდლოდ და ამით თავის მიერვე აღძრულს საქმეს დაჰხმარებოდნენ? ამ შემთხვევაში თვით სამედიცინო წიგნაკის თარგმანიც, რაც მეტად ძნელი საქმეა მკურნალობის არ მცოდნესათვის, საუკეთესო იქნებოდა და ამას გარდა საზოგადოებაც მთარგმნელთა მიერ წაღებულს ფულს სასარგებლოდ გამოიყენებდა და იმ ფულს მეორე ამისთანა წიგნაკის გამოცემას მოანდომებდა.

*** მთავრობის განკარგულება მოსულა, რომ ტფილისის სომეხთა საშუალო სასწავლებლებში სომეხთ-გრიგორიანთ სამღვთო-წერილი სომხურს ენაზე უნდა ასწავლონო.

*** აქაურის პირველ გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს დაუდგენია სიმწიფის ატესტატის ეგზამენის დაჭერის ნება მისცეს 45 ყმაწვილს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნს პლიუშჩევს კისა და თაიროვს უთხოვნიათ ინგლისის კლუბში წევრობა და ხვედრი ფულიც წარუდგენიათ, მაგრამ ამ კლუბის წევრნი არ დათანხმებულან და ურჩევიათ მათთვის უკანვე წაიღონ წარდგენილი ხვედრი ფული. თაიროვი ამ რჩევისამებრ მოქცეულა, ხოლო პლიუშჩევსკის კენჭის ყრა მოუთხოვნია. კენჭის ყრაც მოუხდენიათ და ბ-ნი პლიუშჩევსკი გაუშავებიათ.

*** მის ყოვლად მაღალ უსამღვდელოესობას ეგზარხოსს ვენათის საბლაღოჩინო ჩაუბარებია ცხინვალის მღ. კაპანაძისათვის.

*** ქარელი: 23 გასულ თთვისას სარკის წმინდა გიორგის დღეობაზე ჩვეულისამებრ ბევრი მლოცველი ხალხი დასწრებია, ხოლო უზარალოდ არ გათავებულა ეს დღეობა.

ერთი გლეხი წამოსულა თავის ცოლით ეკკლესიიდგან და როდესაც ნახევარი გზა გამოუვლია, ერთი ნაცნობი კაცი შეხვედრია. გლეხი გაჩერებულა, დაუწყია ლაპარაკი და ცოლი-კი წინ წასულა. რამდენისამე ხნის შემდეგ ეს კაციც გასდგომია გზას, მაგრამ ცოლი-კი ვერ უნახავს. მერე ბევრის ძებნის შემდეგ უკანვე დაბრუნებულა ეკკლესიაში, მაგრამ აქაც ვერ მოუხელავს. აქამდე ეს დედაკაცი ვერ უპოვნია გლეხს, და იმისმა საცოდაობამ ძალიან შეაწუხა მცხოვრებნი.

*** თელავი: მღ. მიხეილ ხელაევი გვთხოვს დავუბეჭდოთ შემდეგი წერილი: „თელავის საპატიმროს ბიბლიოთეკისათვის მივიღეთ რამდენიმე ეგზ. ქართულის წიგნისა ბ-ნ ბურჭულაძისაგან და მღვდლის მ. ალ. მოლოდინოვისაგან. აგრეთვე მივიღეთ ფულად თ. იური მიხ. ძის ჭავჭავაძისაგან სამი მანეთი. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გამოუცხადოთ ჩვენ მიერ გულითადი მადლობა. აგრეთვე უმორჩილესად ვსთხოვთ იმათაც, ვისაც სურს შემწეობა გაგვიწიოს წიგნებით, ფულით და სხვით, გამოგზავნონ ქ. თელავში ციხის ბიბლიოთეკის მმართველის მღ. მიხაილ ხელაევის სახელობაზე“.

*** ცხინვალიდგან გაზ. „კავკაზს“ სწერენ, რომ ვითომც ვილაც ყიბილ ფილოშვილს ეპოვნოს ქვა ერეკლეს ზედ წარწერით. ამ წარწერაში დანიშნულია მიჯნები საზოგადოებათა თერგვანისა, კურნისისა, ცერმანეულისა და წინარეხისა. მიწები, საცა ეს საზოგადოებანი მოსახლეობენ, წარწერით ეკუთვნიან ერთს ეკკლესიას და ეხლა-კი სარგებლობენ თთ. მაჩაბელნი, ფალავანდიშვილები და სხვ. ფილოშვილს ხსენებულ საზოგადოებათათვის მიუყიდნია ნაპოვნი ქვა 350 მან., მაგრამ შემდეგ ეს ქვა არ აღმოუჩენიათ.

*** გაზეთ „Новое Время“-ს შეუტყვია, რომ საქალებო ეპარქიალურ სასწავლებლებში, სადაც სამღვდელოების მოზარდი ქალები სწავლობენ, უნდა შემოიღონ სხვა-და-სხვა ხელ-საქმის სწავლება და აგრეთვე სამღვდელო სამოსლის კერვაო.

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ გუშინდელს ნომრის ახალი ამბებში ერთის ამბის სათაურად (მესამე სვეტში) შეცდომით არის დაბეჭდილი „ჯავაიი“, უნდა იყოს: „ჯავახეთი“.

---

## პასუხის პასუხი

(ბ-ნს არ. ქუთათელაძეს)

ბ-ნი არ. ქუთათელაძე, როგორც გავს, ძლიერ აშფოთებულა. თავის პასუხში ის ამბობს: „მისმა კილომ გაგვაკვირვა ერთობო“. მე ერთხელ კიდევ გადავათვალიერე ჩემი შენიშვნები, კარგად დავუკვირდი, მაგრამ ისეთი ვერაფერი ვიპოვე, რომ „დარბაისელს კაცს“ არ ეკადრებოდეს. ბოლოს ეს დასკვნა გამოვიყვანე: ბ-ნი არ. ქუთათელაძე ჩემს შენიშვნებს იმიტომ აუშფოთებია, რომ მისს გრამმატიკას წუნი დავდევი და შეცდომები ბოდიშის მოუხდელად ვუჩვენე, ერთის სიტყვით, ავტორისებრივ თავმოყვარეობას აუღელვებია იგი. მაგრამ რა ვქნათ: ავტორი ერთია და მკითხველი ათასი. პირველად, სანამდი კალამს ხელს მოვკიდებდი, სწორედ ეს გარემოება მაჩერებდა მეც: ავტორისთვის საწყენად დარჩება და რათ მოვიმდურო-მეთქი? მაგრამ როდესაც სასწორის ერთ ჯამზე ავტორის თავ-მოყვარეობა და ჩემი მასთან პირადი ურთიერთობა დავდევი და მეორე ჯამზე საგნის მნიშვნელობა და მკითხველების ინტერესი, მეორემ პირველი ჯამი დასწონა, და მხოლოდ მაშინ ავიღე ხელში კალამი.

ბ-ნს არ. ქუთათელაძეს უკვირს, რომ ჩემს შენიშვნებს საბა ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებით და სხვა-და-სხვა მწერლის ნაწერებით არ ვასაბუთებ,—ერთის სიტყვით, რომ ავტორიტეტებზედ არ ვამყარებ ყოველვე ჩემს აზრს. ავტორიტეტი მეცა მწამს, მაგრამ ბრმად ვერავის ვიწამებ. საბა ორბელიანი ავტორიტეტია, მისი ლექსიკონი მისათითებელია, მაგრამ იმავე ლექსიკონში ბევრი შეცთომა და ნაკლულევანებაა. ესვე ითქმის ყოველ პოეტზე და მეცნიერზე, უცოდველ პაპად მე არვინ მიმაჩნია, რადგანაც ვიცი, რომ კაცი არ არის შეუცთომელი—errare humanum est! რაც შეეხება შეცთომებს, პატივცემულ გრამმატიკოსს ვერც პასუხში დაუცავს თავის სახელმძღვანელო და ამიტომ შეცთომები ისევ შეცთომებად რჩება.

საქმეს შევუდგეთ: „ბოეში“ ჩუბინაშვილის ლექსიკონში არისო. ვერაფერი საბუთია! ლიტერატურაში, ძველსა და ახალში, ამ სიტყვის მართლ-წერა ასეა მიღებული: ბავშვი, ბაშვი, ბავში. მართალია, ეგ სამი ფორმა ერთნაირად იხმარება, ერთი რომელიმე გადაწყვეტით არ არის მიღებული, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ბ—ს შემდეგ ყველანი ა—ს ხმარობენ, და არა ო—ს; ფილოლოგიურადაც ამ სიტყვას ბერძნულ სიტყვის „პაის“-იდგან აწარმოებენ, სადაც აგრეთვე ბაგისმიერ ასოს შემდეგ ა ზის. ქვემო იმერეთში-კი ამბობენ „ბოეში“ და „ბოში“-ო, მაგრამ ეგ საბუთად არ კმარა. მწერლობაში მხო-

---

ამაღლდებაა. დილაზე ჩვენს ღვთიშობელში გავიაროთ... მა რა ვქნათ. დაიტირე, ივანე?!

მამუკა. ღმერთმა მაიხსნოს შენნი ბებო-პაპანი, ჩემნიცა (ჰსვამს).

ივანე. ასწი, ასწი, ასწი!.. გაამოს ღმერთმა.

მამუკა. (ავსებს ყანწს) გამრავლოს, შენი სიცოცხლე გაამოს. ეს არაყი ძალიან გასჭრის, ყელში ფინთად იკბინება, ძმობის მადლმა.

ივანე. (ისხამს ყანწში არაყს) გოგიავ! მოდი არაყი დალიე... გაუფთხილდი, ე ხინკალი არ ჩაგვეშალოს. აბა შენ იცი, როგორს ჩობნურს ხინკალსაც გვაჭმევ. ერთი მწვადიც როგორმე მოგვიხერხე, ჩემო გოგიავ!

გოგია. მიირთვით თქვენა, კაცო (თან აწვდება ყანწს). გაცოცხლოთ, გაგიმარჯოთ. ღმერთმა მოიხსენოს, ვისაც შენდობა უთხარით. თეეე! (იხედება ქოხის ჭერში) კიდევ წვიმა არ დაიწყო ამ ვერანმა, წვეთი დამეცა თავში!.. თუ არაფერი დავაფარეთ, სულ გაგვიოხრებს ქოხში, რაც რამე გვაქვს (ჰსვამს ყანწსა და ავსებს ივანეს).

ივანე. წყემსის გუდა-ნაბადს რა გააშრობს, ჩემო ძმაო. (მამუკას) მოდი შევიმღეროთ, გენაცვალოს ივანე. (იმღერის და მამუკა ბანს ეუბნება).

ჰურსა სჭამენ და ღვინოს სმენ,
სიმღერეს არ იტყვიანო:
არ ვიცი, მკვდარსა გლოვობენ,
არ ვიცი, არ იციანო.

—

ალაზნის თავსა, კლდის თავსა
სისხლის წყარონი დიანო,
არცა ჰსმენ მონადირენი,
არც როდის დაშრებიანო.
ის ურჯულონი ლეკები
სასმელად გადმოდიანო.
(გოგიას)

ხინკალ არ ჩაჰშალო, ლაშარი ჯვრის გამარჯვებამ, თორო უერთოდ არ მამრჩები.

გოგია. ძაან-კი დაიკოკრინენ-და. იგეთი, გემრიალი იქნება (იღიმება), როგორც გოგოჰ წითელი ლოყები!

მამუკა. არ გიყვარსა მაშ ჩვენებურ ხინკალი, გოგიავ?! ქიზიყში ქალის ლოყები-კი თუ იჭმევა ე?

გოგია. ფშაველებმა ხინკალი მეტი კარგი რა საჭმელი იცით რო? მარა ღორიჰ ლურთებითანა გემრიელი ვერც ხინკალია და ვერც სხვა რამე საჭმელიჰ. ძაან გემრიელია ი ვერანაჰ წითელ ღვინოჰთან. უნდა ახლა კი ეყოფინოს (ჰსინჯავს ქვაბში თითით ხინკალს).

ივანე. არ დამბალაა?

გოგია. დამბალია ძრიანა, ცომი ჰყვება ხელსა.

მამუკა. რაკი ნახარშელა მასდევს თითსა, მოხარშული იქნება. (იღებს ცეცხლიდამ ქვაბსა და სდგამს დაბლა) ოჰ, ხელი დავიწვი, შენი ოხრობაც არი.

ივანე. თავი დაანებე, შენ ვერ ამაიღებ, ჩაჰშლი. მამაწვადე აქ ე ქაფქირი. (იღებს ხინკალს, სოფრაზე აწყობს და უდგამს მამუკას) კარგა მოხარშულა.

მამუკა. (აბრუნებს, გვერდს უქცევს ხინკლებს და ბოლოს ერთს ხინკალს აიღებს) ღმერთო, ნაწილის გამჩენო, შენა სწყალობდე ივანეს, იმის ყოფა-ცხოვრებას, იმის ცხვარ-ბინას.

ივანე. ღმერთმა კარგი მოგცეს. (იღებს ხინკალს) ღმერთო, გვიშველე და კარგა მიმყოფე ყველა აქა ბძანებელი (სჭამს). აი დაილოცე, რა საამური ხარ ამ ნაარაყალ გულზე. (მამუკას) აბა, გენაცვალოს ივანე, შინაურულად მიირთვი, ნუ გააციებ.

მამუკა. განა-კი მცხვენიან, შენი ჭირიმე.

ივანე. (გოგიას) შენც აიღე, ბიჭო, ქობი თავად ადუღდება. ჩვენი ჭამა შენ რას გარგებს, ჩემო ძმაო!

გოგია. (ფეხზე სდგას) ოთხი ხინკალი ჩავახუხუნე ყე და ესეც მეხუთე (იღებს ხინკალს).

ივანე (ასხამს ყანწში არაყს) ძმაო მამუკავ! აბა, გენაცვალოს ივანე, ეხლა ჩვენი ღვთიშობელი ვადღეგრძელოთ.

მამუკა. სუ, შენი ჭირიმე, ჩემო ივანე, აღარ შემიძლავ, კაცო. სხვა რო არა იყოს, ხატში ველარ გავალი, ემა ხევში სამ გადავიჩახტები!

ივანე. (აძლევს ყანწს ხელში მალად) გადაიჩახტები-კი არა, გადმაიჩახტები. აი, ღვთის მოცემული ბინა აქა გვაქვ, დაწევ და დაიძინე, განა ცოლ-შვილს მგელი დაგიჭამს. მთელი ქვეყანა იქ არი.

მამუკა. (თასს ჩამოართმევს) ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს ღვთიშობელს (ჰსვამს და ავსებს ყანწს ივანეს. ისმის ქოხის კარებზე ძაღლების ყეფა, რომელიც მალე შესწყდება) ვინ რა არი, კაცის ხმაზე-კი ჰყეფენ!

ივანე. (დგება ფეხზე) დაიცა აბა გავხედნებ. (ქოხის კარებში შაეხეხება შალვას) ჰაი, შენი ჭირიმე, შენი კვენესამე და შენის მოსვლისა (ეხვევა და ჰკოცნის შალვას). სიდედრსა ჰყვარებიხარ, ძმაო, გენაცვალე!

მამუკა. (ადგება ფეხზე) მამიხვედ მშვიდობით, ნათლიას ჩემო, შენი ჭირიმე და შენის ჩობნურის ქუდისა. (შალვა ხმას არ იღებს, აღწილი სახე აქვს, არეულია და თავს იმაგრებს) როგორღაც ვერა ხარ გუნებაზე. აბა, ივანე, მე-კი ნუ მაძალადებ, აი ამას უჭირს არაყი ჰაი. მაიტა ე ხელადა აქა (ივანეს მოაქვს ხელადა. ივანე და მამუკა ორივენი იჭერენ ხელადას და ასმევენ შალვას. ერთად ეუბნებიან: ასწი სულ უქცევრად). შენ ფეხზელამ გინდა ჩვენ სასაცილოდ აგვიგდო.

ივანე. დალიე, დალიე, არ იქნება!

შალვა. მეყოფა, მეყოფა! (იხსნის პირიდამ ხელადას).

ივანე. რას კილოს გუნებასა ხარ, ძმაო, გენაცვლეი, რატუ არას გვეტყვი?!

შალვა. თქვენი ჭირიმეთ, ამბავს ნუ მკითხავთ. განა არ იცით, კაცნო?! (გოგია თავ-ჩაღუნული ცეცხლს უკეთებს და ნიშის მოგებით შაცქერდება სანდასან). ის-კი არა (ხმას ათრთოლებს) მე მიდდა ერთი ზღაპარი გიამბოთ, ყური დამიგდეთ.

ივანე და მამუკა. (ერთად) თქვი, შენი კვნესამე! ვაი დედას მტრისას, ყურს როგორ არ დაგიგდებთ (უგდებენ ყურს. შესჩერებიან).

შალვა. იყო ერთი მეცხვარე, ბეჩავი, წყემსი კაცი, როგორც იცოდეთ,—ობოლი ობლობით გამოზდილი. (ღელდება და თავს იმაგრებს) წავიდა ცხვარში. ერთი წელი არ მოსულა შინა. ცოლიცა ჰყვანდა, შვილებიცა. ოღონდაც ამბავი მაუვიდა ცოლსა, რო, ღმერთმანი, შენი ქმარი აღარ არი ცოცხალი, თათრებმა მოკლესო. ადგა ეს დედაკაცი, ერთმა თთვემ რო ჩამაიარა, ქმარი შაირთო, ჯვარი დაიწერა სხვაზე. საყდარშიით რო მობრუნდენ, ხალხი დაჯარდა. ნევე-

ლოდ თქვენ იხმარეთ „ბოეში“ და როგორ ვქნათ: მარტო თქვენ დაგიჯეროთ?

„ჰაზრი“ ახლა არ იხმარება-მეთქი, ვწერდი მე ჩემს შენიშვნებში, და თქვენ იმის წინააღმდეგი ვერაფერი გითქვამთ ამას გარდა, რომ ერთი ადგილი მოგყავთ აკაკი წერეთლის ლექსიდან, სადაც „ჰაზრი“ უხმარია. იგივე აკაკი ასგან უ—ჱ—თ სწერს ამ სიტყვას. როგორ ვქნათ: დავუჯეროთ, თუ ნუ დავუჯერებთ?

პატივცემულ გრამმატიკოსს მე «ჰაზრი»-ს მართლ-წერა გავუმტყუნე და იმის მაგიერ, რომ ამ სიტყვის მართლ-წერა საკმაოდ დაესაბუთებინა, აულია და ურიცხვი მაგალითი მოუყვანია იმის დასამტკიცებლად, რომ ჰ—ს ხმარობენო! არ ხმარობენო, მე არ მითქვამს. როგორ არ ვიცი, რომ დიდი და პატარა, მცოდნე და უცოდინარი, ყველანი ხმარობენ დღეს ამ ასოს. მე მხოლოდ ისა ვსთქვი, რომ არ უნდა ხმარობდნენ-მეთქი. იქვე ვამბობდი, რომ ახლო მომავალში შემთხვევა მექნება ამის შესახებ დალაგებით მოვილაპარაკო, მაგრამ, რადგანაც გვიჩქარიან, ამიტომ ვეცდებით ეხლავე გარკვევით წარმოვსთქვათ ჩვენი აზრი და ჩვენი საბუთებიც წარმოვადგინოთ.

მე კატეგორიულად, გადაჭრით ვამბობ, რომ ასო ჱ ისევე არ არის საჭირო ჩვენს ანბანში, როგორც ჶ, ჷ, ჲ, ჸ, ჴ და ჵ. აი საბუთებიც:

1) ერთი სიტყვაც არ მოიპოება ნამდვილი ქართული იმისთანა, რომ ასო ჱ ჰყოს ძირში, წმიდა ძირში. ჰ—თი იწყება მხოლოდ რამდენიმე უცხო სიტყვა, მაგალითად: ჰაერი, ჰავა, ჰაზრი, ჰუბუტი, ჰუნე, და ამათ შორისაც ზოგიერთმა სრულიად მოიკვეცა ეგ ასო და უ-ჰ-ოთ იხმარება, განსაკუთრებით აზრი. ხალხსაც თუ დაუკვირდებით, უფრო ხშირად ასე გაიგონებთ: აერი, ავა და სხ. რას ნიშნავს ეგ? ეს იმას ნიშნავს, რომ ხმა ჱ ჩვენს ენაში ძველის-ძველადვე უცხო ენის გავლენით შემოსულია და, რადგანაც საფუძველი ამ ხმას საკუთრად ქართულს ენაში არ უძევს, ამიტო ის შემოტანილი უცხო სიტყვებიც თანდათან კარგავენ ამ ხმას.

2) თუ ჱ არსად ძირეულ სიტყვაში არ მოიპოება და საჭირო არ არის, მით ნაკლებ საჭირო უნდა იყოს ზმნებში, სადაც ეგ ასო მეტხორცს შეადგენს, სადაც ხან ამოყოფს თავს, ხან იკარგება... ჰგავს, ჰყავს, ჰხმარობს, ჰკრეფს, დაჰკარგა ეგ სიტყვები რომ ჰ—ნათ გარკვევით გამოვსთქვათ, უთუოდ ძალიან უნდა მოვინდომოთ, ხმა შევაჩეროთ, ხორხი გავზიდოთ... ამას არა სჯობია, ძალის დაუტანებლად, თავისუფლად გამოვთქვათ: გავს, ყავს, ხმარობს, კრეფს, დაკარგა და სხ.?!. ხალხიც უმეტეს ნაწილად ასე ხმარობს ამ ფორმებს, გარდა იმ პირებისა, რომელნიც ბრმად, აუწონავ-გაუზომავად თაყვანს სცემენ თავიანთ ავტორიტეტებს და ისევე სჯიან, ისევე ლაპარაკობენ, როგორც ეგ უკანასკნელნი.

ასო ჱ დღეს იმავ მდგომარეობაშია, როგორშიც მე-60 წლებში ჶ, ჲ, ჷ, ჸ, ჴ და ჵ იყვნენ. რაღაც წვრილმანი მნიშვნელობა ჲ და ჸ-საც კი აქვს, თუ დაუკვირდებით, მაგრამ იმათ დღეს აღარავინ ხმარობს. აიღეთ, მაგალითად, რუსთველის ლექსი:

> ვაი, სოფელო, რა შიგან ხარ,
> რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!

აქ სიტყვა „ვაი“ უმჯობესია ასე დაიწეროს: „ვაჲ“, იმიტომ-რომ „ვაი“ აქ ერთი მარცვალია, დაბოლოება ი აქ მთელ ხმოვანს არ შეადგენს, არამედ ნახევარ ხმოვანს, რომლის გამოსახატავად ძველად ჲ იხმარებოდა. სიტყვებში: ჩვენ, ჩვენება, თქვენ, შერცხვენა, და მსგ. სხ. „ვ“ სრულიად არ ხატავს გამოსათქმელ ხმას; ეგ ხმა არის რაღაც საშუალო ვ-ს და უ-ს შუა, ე. ი. ის ხმა, რომელიც ძველად გამოიხატებოდა ჸ-თი. ამის მიუხედავად დღეს ეგ ასოები და მსგავსი სხვებიც გაიდევნა ქართულ ანბანიდგან. მსგავსივე ბედი მოელის ახლო მომავალში ასოს ჰ-საც და, თუ მე პირველი უარ-ვყოფ იმას, ეს, მე მგონია, დანაშაულობა არ უნდა იყოს...

აი ჩემი შეხედულება ასოს ჰ ს შესახებ. ახლა, ვგონებ, ყველასთვის ცხადია ჩემი აზრი.

ბ-ნი არ. ქუთათელაძე კითხულობს: როგორ უნდა გამოვთქვათ ჰანგი, ჰარიარალი, ჰოოპუმ, ჰოი და სხ.!

რა საკითხავია? ჰ რომ გამოვაკლოთ, ადვილი გასაგებია, რაც დარჩება. იქნება ყურში გეჩოთირებათ, ბატონო გრამმატიკოსო, მაგრამ რა ვქნათ: ზოგს, აკაკის არ იყოს, ჩვენებური ცეკვა-თამაში არ მოსწონს, არამედ მოსწონ „ტანცი-მანცია“, მაგრამ ამისათვის ქართულ ლეკურზე ხელს ვინ აიღებს? თუ ყურში გვეჩოთირება, ეგ იმიტომ, რომ ყური შეგვიჩვევია მისთვის და გადაჩვევა გვეძნელება.

„რომელიმე სახელს“ კეთილ-ხმოვანებისათვის იხმარებაო! თუ ასეა, „კარგი კაცს“ უნდა ვიხმაროთ, იმიტომ-რომ ეს უფრო ადვილი გამოსათქმელია, ვიდრე კარგ კაცს და კარგს კაცს. ეგ სადაური საფუძველია? „ნაცვალ-სახელი რას გვიჩვენებს“ რომ ვიკითხოთ, ბავშებს ეგონებათ, რომ მარტო ჩვენ გვიჩვენებს და სხვებს არაო! სასაცილოა, თქვენ ნუ მომიკვდებით! მეტის-მეტი ჯიუტი-კი უნდა იყოს ი რაღაც ნაცვალ-სახელია, თუ მარტო ჩვენ გვიჩვენა და სხვებს-კი არა! თუ მართლა ასე ჯიუტია ე ნაცვალ-სახელი, „რას უჩვენებსო“ რომ ვიკითხოთ, მაშინ ხომ მათ უჩვენებს, ესე იგი მესამე პირებს, სხვებს და ჩვენ აღარა?! ასე არ იქნება, ბატონო, არ. ქუთათელაძევ? მაგრამ თქვენს მაგიერ მე ვიტყვი: როდესაც გვინდა რამე აზრის საზოგადოთ გამოთქმა, იმ შემთხვევაში პირველ პირს ვაძლევთ უპირატესობას და არა მესამეს, ევ როგორ არ იცით?

არსებით სახელების დაბოლოების შესახებ ბ-ნ არ. ქუთათელაძე ამბობს: „განა ჩვენ-კი მაგის წინააღმდეგი ვართ? ჩვენ ვამბობთ, რომ არსებითი სახელი ხმოვან ასოზედაც ბოლოვდება და თანხმოვან ასოზედაცო“. ესე იგი რას ამბობთ თქვენ? რატომ გარკვევით არ ლაპარაკობთ, რა გინდათ, ამით სთქვათ? თუ ჯიუტობთ და „სინტაქსის“ ქართულად იხმარებაო, ამბობთ, ძლიერ შემცდარი ბრძანდებით. მაგრამ, როგორც სჩანს თქვენ იმას არ ამბობთ, რაც გულში გაქვთ, და ამ გვარ ბნელ პასუხით მხოლოდ გსურთ საკამათო საგანს გვერდი აუხვიოთ. მე ვამბობ „სინტაქსის“-კი არა, «სინტაქსი» უნდა - მეთქი, და თქვენ ამბობთ: „განა ჩვენ-კი მაგის წინააღმდეგი ვართო?“ ნუ თუ ესეც პასუხია?! აქვე მე გამოვთქვი აზრი, რომ „თუ უცხო ტომის კაცმა ქართველთან მუდმივი ცხოვრება განიზრახა, ის აუცილებლად უნდა გაქართველდეს“. ეს აზრი არ მოსწონებია ჩვენს გრამმატიკოსს, არ მოსწონებია ალბად იმიტომ, რომ ვერ გაუგია. უცხო სიტყვები აუარებელია ჩვენს ენაში, მაგრამ ორიგინალის ფორმით კი არ მიუღია ისინი ქართველებს, არამედ ისე, როგორც ქართულ ენის ხასიათი მოითხოვდა: მაღაზია (ფრანგულად „მაგაზენ“), არშინი (ფრანგულად «არშინ»), ნავი (ლათინურად „ნავის“) და ათასი სხვა. ამ კანონის ძალით „სინტაქსის“ მოუნათლავთ „სინტაქსი—თ. (ეგ ხომ ჩემი შემოღებული არ არის? საიდგან შეთხზეთ, ვითომ მე მომენათლოს?.. ჩუბინაშვილი ხომ ავტორიტეტად მიგაჩნიათ, როცა დაგჭირდებათ, და ამ შემთხვევაში რატომ უღალატეთ: ისიც ხომ ასე ხმარობს?!)

სილოვ. ხუნდაძე

---

## წვრილი ამბები

გაზ. „Figaro“ ამბობს, რომ ემილ ზოლას ახალს რომანს ეწოდება „La Bête humaine“ (მხეცი ადამიანში) ეს რომანი, როგორც ჩვენს მკითხველებსაც უნდა მოეხსენებოდეთ, სწარმოებს დასავლეთ რკინის გზაზედ, რომელიც პარიჟსა და გავრს ერთ მანეთს უერთებს. ამას წინად გაზეთებში იყო კიდეც ნათქვამი, ვითომ ზოლა სარკინის-გზო წესთა და რიგთა საუკეთესო გასაცნობად იმოგზაურებს და, მართლაც, ამ დღეებში ზოლას დილის მატარებლით პარიჟიდგან შარტრს გაუვლ-გამოუვლია.

— პარიჟის სამედიცინო ფაკულტეტში კიდევ ერთს ქალს მიუღია დოქტორის ხარისხი, ეს ქალი მარია პიერის.

— შვეიცარიის დედათა საზოგადოებას გადაუწყვეტია საზაფხულოდ ცალკე სადგომი გაჰმართოს შეუძლო დედაკაცთათვის, განსაკუთრებით მომუშავეთათვის, რომელთაც შეეძლებათ სამკურნალო წყლებზე ცხოვრება, რიგიანის საჭმლის ხმარება და მუქთად თავის მორჩენა, თუ სნეულნი და ავადმყოფნი არიან. ამ დედაკაცთ სულ მცირე ფასს გადაახდევინებენ თურმე, ხოლო, თუ მეტად ღარიბნი არიან, მუქთადაც მისცემენ სადგომში ადგილს. იქავე ახალგაზდა ქალთ შეუძლიანთ ისწავლონ მზარეულობა და ოჯახისა და ავადმყოფების მოვლა.

— მონ-რიშარეში ამას წინად შემდეგი ამბავი მომხდარა: ცირკის მასხარას თავი მოუკლავს დამბაჩით და ასევე მოქცეულა იმისი საყვარელი ნასწავლი მაიმუნიც, რომელსაც მალიან უყვარდა თურმე თავისი პატრონი და გვერდიდგან არ შორდებოდა. მასხარაცა და მაიმუნიც ერთად უპოვნიათ და მაიმუნს ხელში დამბაჩა სჭერია. მოწვეულს ექიმს ძალიან გაჰკვირვებია მაიმუნის თვით-მკვლელობა. ალბად მაიმუნი თვალ-ყურს ადევნებდა თავისს პატრონის საქციელს, დაინახა, რომ დამბაჩა მიირტყაო, თითონაც მიჰბაძა, გამოაცალა მოკლულს იარაღი და მიბაძვით თავი მოიკლაო.

— საფრანგეთის ერთს პროვინციალურს ქალაქში შემდეგი ახირებული ქურდობა მომხდარა: ამ ქალაქის ერთ პატივცემულ ხარაზთან მისულა რიგიანად ჩაცმული კაცი და ამოურჩევია მშვენიერი ფეხთ-საცმელი. ვიდრე ეს კაცი იზომავდა ფეხთ-საცმელს, დუქნის ფანჯარასთან მიმდგარა ვიღაც სხვა კაცი და

---

დედოფალი ჯარზედა სხედან. არი სმა... ღრეობა...

მამუკა. რაღა სული გეხუთება? მერე?

მამუკა. სმა არი და ღრეობა... ახალს... ახალს ნეფე-დედუფალს... ახალს ნეფე-დედუფალს შაჰხარიან... ამ დროსა... დედუფლის ქმარი, ცოცხალია, განა მართლა მოკლეს, მოვიდა შინა ცხვარშიით. ნახა ეს თავის ცოლი... ოლონდაც გვირგვინიანია, ნეფეც გვერდით უზის... ნეფე... ნეფე. . ჰოო ნეფე... (აღელვდება უფრო, ტანსა და ხელებში აკანკალებს).

ივანე. (გააწყვეტინებს) კი გცივა, რა არის მერე?

შალვა. ჰოო, დავსველდი.. დავსველდი, ივანე, ლაფიან ვარ, განა არა მხედავთ, სველი და ტბორი.. ამ მეცხვარემ მშვილდს მასწია.. წაადგა ჯარს თავზე და დაიძახა: „ხარსა თუ ფურსაო!“

— ფურისა რა ბრალია, ხარსაო, — შამოსძახა იქით ცოლმა.

მოსწია ბიჭმა მშვილდსა და დააკერა ისარი გულში თავის ცოლსა: „ფურსა, სჯობიაო!“ (სმა მაღლა დაიდრაბენს) მე რო იმის ადგილას ვყოფილიყავ... (გვერდზე მობრუნდება და ხანჯალს გაიწვდის) ფურმა მიიღო თასის წილი და და ესეც ხარსა (დასცემს გოგიას გულში ხანჯალს, გოგია დაეცემა ძირსა და ფართხალობს).

მამუკა და ივანე (ერთად, გაშტერებულნი და შეძრწუნებულნი): ვაჰმე! ვაჰ დედას მტრისას! რა ჰქენ, შალვავ, რა ჰქენ, კაცოო! (ეხვევიან გოგიას).

შალვა (გაკარდება გარეთ). გაატყავეთ ეგ ქორბუდიანი ხარი ირემი... სუკები ასჭერით და ჩემს დედაკაცს გაუგზავნეთ!

### სცენა IV

გთხოვთ დამიჭიროთ!

პრისტავი (კარების კაკუნი ესმის). ვინა ხარ?

შალვა. მე გახლავარ, შენი ჭირიმე.

პრისტავი. ვინ შენა?

შალვა. მე, შალვა მგელაშვილი... გამოსაცხადებელი მაქვ.

პრისტავი. (ჩაფარს) შემოუშვი! (შალვა შემოდის კარებში).

შალვა. კნიაზი აღლეგრძელოს ღმერთმა!

პრისტავი. გაგიმარჯოს!.. პატარა ხანს მანდ დადექი, აი ამ დედაკაცთან გავათაო ჯერ საქმე. (სალომეს) მერე? აბა მოჰყე!

სალომე. იმას მოგახსენებდი, კნიაზოჯან, ევენაცვალე შენს კნიაზობას, პრისტაობას და შენს სამართალს, იმას მოგახსენებდი... დიაღ! კოლოტაანთ ივანემ დამაბრალა, ჯადო გამიკეთაო. ვითომც მე ჯადოქარი გახლდეთ. ის-კი არა, ბატონო, (იღებს ჯიბიდამ ნაჭერს და ჯღანის ნაგლეჯს) თვითონ ივანე გახლავთ ჯადოსანი. ეს ჯადო მოლამ ჩვენის სახლის კედლიდამ ამოიღო და ეჭვიც ივანეზე მიიტანა: „პაჭუაა, თვალ-ჭრელი კაცია, პირში ლაქუცა და უკან ორმოს მთხრელი, თქვენი მომიჯნავე არისო, თავზედ ტყავის დაგლეჯილი ქუდი ჰხურავს, დაგლეჯილი ჩოხა აცვიაო“, მოგახსენათ!

პრისტავი. (სიცილით) აბა ერთი აქ მაჩვენე ეგ ჯადო! (დაცინვით) წადი... უგუბერნატოროდ და უმთავარმართებლოდ ეგ საქმე არ გამოიძევა, რადგანაც მძიმე, დიდი საქმეა, სისხლის საქმეა. გაიგონე? მივწერავ, პოლკით და ბატალიონებით მოვლენ და გამოიძევენ. გასწი შინ. გაიგონე?

სალომე. როგორ არ გავიგონე, გენაცვალე! განა ჩვენ არ ვიცით, რომ მძიმე საქმე გახლავთ: უმთავარ-მართებლოდ და უგუბერნატოროდ როგორ იქნება, თქვენი ბძანებისა არ იყოს (გადის).

პრისტავი. (შალვას) აბა შენ რა გინდა?

შალვა (გაუბედავად) კაცი შემამაკვდა და გთხოვთ...

პრისტავი. როგორ თუ კაცი შემოგაკვდა. რას მიჰქარავ, შე ვირის თავო! მერე სამახაროზლო მოგცე! რად შემოგაკვდა?

შალვა. მაიხსენით, შენი ჭირიმე, ბატონო. ცოლი გავასახიჩრე და იმის კურო-კი მოვკალ... გთხოვთ დამიჭიროთ... მართალია, ეხლა ძველი დრო აღარ არი, რუსობაა, მაგრამ ვერ მოვითმინე და ორისავ სისხში გავერიე.

პრისტავი. ერთად მოასწარი?

შალვა. არა, შენი ჭირიმე, მთელმა ქვეყანამ იცოდა. კუროსთანით მონაევალებული ხაფანგში გაბმულიყო, წყემსებს სცოდნიყო და დაეგო ჩემის ცოლისად ხაფანგი. მე შინ არ გახლდი, შენი ჭირიმე, იმ ჟამადა, ცხვარში ვიყავ. მუედ შუაღამისას. არცად იყო ჩემი ცოლი, ჩემი ჯალაფი. არ იცოდენ, სად იყო და სად არა. მეორეს დღეს ხაფანგში გაბმული-კი მოეხელე. იმას ცხვირი მოვსჭერ და იმისი კურო-კი დავამთავრე. მამა-პაპის ჩვეულება ეგ იყო ჩვენი!

პრისტავი (საწერელსა და ქაღალდებს იღებს პროტოკოლის შესადგენად). ჰოო, ჰოო, ეგრე იყო მაშ რაღა? (ღიმილით) ეგ მოკვლა და მოჭრა რომ იცით, საქმის მოელა რატომ არ იცით. აბა რაებს მიედებ-მოედები, შე ოხერო, ისეთი არაფერი მოიგონე, რომ სასჯელი შეგიმსუბუქდეს. განა მადლობას გეტყვიან, პირდაპირ ციმბირში გიკრავენ თავსა.

შალვა. სადა უნდა მიკრან ეხლა თავი, შენი ჭირიმე, როგორც იყო, ისე კი მოგახსენებთ და სხვა რაღა ვქნა.

პრისტავი. მაშ არ გინდა? არ გინდა? (ცბიერის კილოთი)

შალვა. აბა რაღა მინდა, შენი ჭირიმე, ეხლა თქვენ იცით.

პრისტავი. (გაჯავრებით) დათვო!.. (ადგენს პროტოკოლს. ზის კარგა ხანს, ჰფიქრობს, ჰშლის, ხან ილანძღება, ხან იფურთხება. კონვერტში ჩასდებს ქაღალდს და ჩაფარს) სოსიკო! ეს კონვერტი და ეს ვაჟბატონი დღესვე გამომძიებელს წარუდგინე, გესმის! ხელები შეუკარი!

სოსიკა. დიახ, შენი ჭირიმე, ემ საათში, ცხენს შევკაზმავ. (შალვას აგლებს ხელს) აქმო, შენ ეი!

შალვა. რა ჭირა მინდა, თაევად წამოვალ მე.

პრისტავი. მოიტა თოკი!

სოსიკა. (მოარბენინებს თოკს) აი აქ გახლავთ, ბატონო?

პრისტავი. შეკარი კარგა მაგრა.

შალვა. რად გინდათ ეგ საბელი, მე თუ გაქცევა მდომნიყო, განა ვერ გავიქცეოდი. (ჩაფარს) შენ რაღა მკალიასავით მებღრევი. გამეცალე, თორო ასეთს დაგაცეცხლებ, რო!.. (უსალიანდება)

პრისტავი. ბიჭებო! აქ მოდით, შეუკარით ხელები ამ მ—ლს, მთის დათვსა! (სამი ბიჭი შემორბის, უკკრენ შალვას ხელებს და გაჰყავთ გარეთ). (პრისტავი მარტო) Вотъ, с—нъ! вотъ народъ! вотъ народъ, я вамъ скажу!

ვაჟა-ფშაველა

დაუწყია ჯავრება და ღმეჯა ამ ფეხთსაცმელის მუშტრისთვის. პირველში მეიდ-პელმა არ მიაქცია თურმე ამას ყურადღება, ხოლო შემდეგ, რაკი დაინახა, რომ ქუჩაში სხვა გამვლელ-გამომვლელნიც იცინიან ჩემზედაო, გაწიწმატდა და ხარაზს შესძახა: „დამაცადე! მე ეხლავე ვაჩვენებ მაგ მხეცს, როგორც უნდა ჩემი გაჯავრებაო"! ამ სიტყვებს შემდეგ გამოედევნა ფანჯარასთან მდგომს და დაჭერა მოუნდომა. ხარაზი მხოლოდ მაშინ მოვიდა თურმე გონებაზედ, როცა ორივე, გაქცეულიცა და მდევარიც, თვალიდგან მიეფარნენ. რაღა თქმა უნდა, მდევარმა თან გაიყოლა ახალი ფეხთსაცმელი ფულ-გადაუხდელად და მას შემდეგ აღარ დაბრუნებულა თავისის ჯღანების წასაღებად.

# დეპეშა

2 მაისი

პეტერბურგი. გუშინ მისი უმაღლესობა მარია პავლეს ასული საზღვარ-გარეთიდგან დაბრუნდა პეტერბურგს.

დღეს დაასაფლავეს სალტიკოვი (შჩედრინი). დასაფლავებაზე დაესწრნენ მწერლობის წარმომადგენელნი და მოსწავლე ახალგაზდობა. 150-მდე გვირგვინი მიიტანეს განსვენებულის საფლავზე. სიტყვა წარმოსთქვეს მწერლებმა: არსენიევმა, ორესტ მილერმა და სხვათა.

რომი. ყოველ წლიური სესხი, რომელიც მთავრობას აფრიკის საქმეებისათვის უნდა, შეამცირეს 2.900,000 ლირამდე.

ლონდონი. ქვედა პალატამ შეიწყნარა ბილლი სამეურნეო სამინისტროს დაარსების გამო და უარ-ჰყო ბაქი ჩაიზე.

სალისბერიმ გამოაცხადა, რომ მართებლობას არავითარი ცნობა არ მოსვლია იმ უწესოებისა და ძალ-მომრეობის შესახებ, რომელიც ვითომ ქურთებმა სომხეთში ჩაიდინესო. ელჩი ამბობს: თუ რამე უწესოება მოხდა, უეჭველია ეს სპარსეთიდგან გამოსულებმა მოახდინესო.

ვენა. მთავარი ჩერნოგორიისა ნიკოლოზი მემკვიდრე პრინციტურთ გუშინ ცეტინიედგან პეტერბურგს წავიდა. მთავარმა ვენაზედ გამოიარა.

ლონდონი. «Standard»-ში დაბეჭდილია იმ კონცესსიის ტექსტი. რომელიც სპარსეთის შაჰს უბოძებია ბარონ რეიტერისათვის სპარსეთში სახელმწიფო ბანკის დაფუძნების თაობაზედ. თანხა ამ ბანკს ექნება ოთხი მილიონი გირვანქა სტერლინგი. ახლად დასაარსებელს ბანკს მარტოდმარტოს ეძლევა უფლება სამოცის წლის განმავლობაში აწარმოოს და ისარგებლოს სპარსეთის რკინისა, სპილენძის, ტყვიისა, ვერცხლის წყალის, ნახშირისა, ნავთისა, ბორაქსისა და ასბესტის მადნეულობით.

პეტერბურგის ბირჟა, 2 მაისი

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7½ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 148 87 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 13 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | 271¼ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 245¼ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენ (1889) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქრონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

მაისი 31 დღით არის.

4 დღე ხუთშაბათი. წმ. და ღირსისა მოწამისა პელაგიასი. კათოლ. წმ. პელაგიასი. მაჰმად. მე-16 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—39, ჩადის 7—13. მთვარე 16 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მაისიდამ 16 მაისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი. | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 02 | 1 | 17 | რიონი . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა. . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი. . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| სტანციები | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი | სტანციები | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი. . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა. . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | — | — | 50 | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

## სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სახარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—14)




სასახლის ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში. (10—7)

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| ხრობა ან. ფურცელაძისა. | „ | 25 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | „ |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯავჯავაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . . | „ | 45 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| II ნაწ. . . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . . | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, გუგუნავასი . . | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი . . . . . . | 3 | |
| რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე. . . . | 3 | 60 |
| თამარ-ცბიერი, აკაკისა . . | „ | 50 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები . . . . . . . | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთსამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის" გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . | „ | 25 |

# ЗАВОДЪ МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ




СЕРЕБРЯНАЯ

А. А.




ЗОЛОТАЯ

# ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухiя краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненiе работъ и доброкачественность матерiаловъ. Полнѣйшая **гарантiя**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—1) ა. თუთაევი


Дов. ценз. Тифлисъ 3-го Мая 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографiя Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე